# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

15 იანვარი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 7 (10 420) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## სეოკ–ის სესიაზე

ამას წინათ, როგორც ცნობილია, გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია. გთავაზობთ სესიის დადგენილების ტექსტს და მიმართვას, რომელიც სეოკ-ის აღმასკომმა თავის სახელით გააკეთა.

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიის დადგენილება

**მოისმინა** და განიხილა რა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, სესია ადგენს:

1. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

აღინიშნოს, რომ სეოკ-ის აღმასკომის საქმიანობა განვლილ პერიოდში ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნებიდან გამომდინარე ძირითადად შეესაბამებოდა საქართველოს სპორტის ინტერესებს.

2. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ რესპუბლიკის სპორტულ და ოლიმპიურ მოძრაობაში დადგა ახალი, საქართველოს სპორტის სრული სუვერენიტეტის მოპოვებისა და დამკვიდრების ეტაპი.

3. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მიესალმება ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული სპორტსაზოგადოება „შევარდენის" გადაწყვეტილებებს საკავშირო სისტემებთან კავშირის გაწყვეტის შესახებ.

სესია სპორტულ ფედერაციებს, პირველ რიგში, სპორტის ოლიმპიური სახეობების ფედერაციების ყურადღებას ამახვილებს იმის მნიშვნელობაზე, რომ მათ უახლოეს ექვსი თვის განმავლობაში გამოკვეთონ პოზიცია და განსაზღვრონ თავიანთი დამოკიდებულება საკავშირო ფედერაციებთან, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციულ-სტრუქტურული კუთხით, ამასთან იზრუნონ საქართველოში პროფესიული სპორტის დონის შენარჩუნებისა და რესპუბლიკის სპორტსმენთა სოციალური დაცვისთვის.

4. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აცხადებს, რომ მომავლაში საკუთარი წესდებისა და ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნათა შესაბამისად, თავის რიგებში ვერ გააერთიანებს იმ სპორტულ ფედერაციებს და შეუძლებლად მიიჩნევს მათთან თანამშრომლობას, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საკუთარი სტატუსის შესაბამისობას ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნებთან.

5. სესია ყოველმხრივ უჭერს მხარს სპორტის სხვადასხვა სახეობაში საუკეთესო სპორტული გუნდებისა და უძლიერესი სპორტსმენების მონაწილეობით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების ჩატარების იდეას, აგრეთვე ყველა იმ ნაბიჯს, რომელთა პრაქტიკული მიზანია საზღვარგარეთის ქვეყნებთან ინტენსიური სპორტული კავშირების დამყარება.

6. სესია იწონებს წინადადებას სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ჩატარების შესახებ და ავალებს სეოკ-ის აღმასკომს შეიმუშაოს მისი დებულება და გამოიტანოს რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის სამსჯავროზე.

7. სესია მხარს უჭერს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მიიღოს მიმართვებისა და წერილების პაკეტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, 1992 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის, საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების ოლიმპიური კომიტეტების, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს სახელზე, რომლებშიც გაცხადებულია ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პოზიცია დღევანდელ ეტაპზე საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით.

იხ. მე-4 გვ.

შეიქმნა „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდი". თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ საქართველოს მრეწვმშენბანკის საოპერაციო სამმართველოში სფბ № 521921. „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდი"

## 00700750

ველით თქვენს გამოხმაურებას. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ „ლელოს" რედაქციაში.

## მსოფლიო ჩემპიონის წვლილი

მსოფლიო ჩემპიონმა ბატუტზე ხტომაში რუსუდან ხოფერიამ. გუშინ. რედაქციაში წარმოგვიდგინა ქვითარი 300 მანეთზე. ეს თანხა ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა სამაჩაბლოს ფონდში შეიტანა.

## მუზეუმი – 5000!

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა სამაჩაბლოს ფონდში გადარიცხა 5000 მანეთი.

## მობინადრეებმაც აუგეს მხარი

თბილისში, ვაჟა-ფშაველას მესამე კვარტალის მეხუთე კორპუსში, მცხოვრებლებმა მეზობლებში შეაგროვეს და „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდში" 350 მანეთი შეიტანეს.

## ახალქალაქიდან – 711 მანეთი

ახალქალაქის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა 711 მანეთი შეიტანა „სამაჩაბლოს ალორძინების ფონდში".

ი. ხუციშვილი,
სკოლის დირექტორი.

## მოსკოვი, მ. გორბაჩოვს

**საქართველოს** ფიზიკური კულტურის ტექნიკუმის [illegible] ქლიავი [illegible] თ შრომობენ ქართველი [illegible] უკრაინელი [illegible] ეროს წარმომადგენლები, სრულიად ეთანხმება საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების თაობაზე და გმობს პრეზიდენტ გორბაჩოვის 7 იანვრის ბრძანებულებას.

ჩვენ გვინდა მშვიდობა, ერთიანი და დამოუკიდებელი სამშობლო — საქართველო.

**ფიზკულტურის ტექნიკუმის კოლექტივი.**

• • •

**საქართველოს** სპორტსახკომის საწარმოო კომბინატის 400-კაციანმა, მრავალეროვან კოლექტივში გამართულ მიტინგზე მიიღეს მიმართვა მ. გორბაჩოვისადმი, სადაც კატეგორიულად მოითხოვენ, შეჩერდეს სსრ კავშირის პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულება და ერთსულოვნად უჭერენ მხარს საქართველოს უზენაეს საბჭოს.

• • •

**გაიმართა** სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზეც მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მ. გორბაჩოვისადმი. მიმართვაში გამოთქმულია მტკიცე პროტესტი პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულების გამო, აღნიშნულია, რომ შეკრებილნი მხარს უჭერენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პოზიციას პრეზიდენტის ამ ბრძანებულების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა ხდება ჩვენს წყალბურთელთა გუნდში?

**თბილისის** „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გ. ჩიქვანაიამ დატოვა მთავარი მწვრთნელის პოსტი და იგი ამავე კლუბის პრეზიდენტი გახდა. არის მოსაზრება, რომ უფროსი მწვრთნელის თანამდებობაზე გუნდის მოთამაშე გია ზუმბულიძეს დანიშნავენ.

ეს ამბავი ჩვენთვის გუშინ გახდა ცნობილი.

**დავით იაშვილი** — საქართველოს სპორტსახკომის წყალთა სახეობების რესპუბლიკური გაერთიანების დირექტორი: „ჩემთან მოვიდა ჩიქვანაია და მითხრა, რომ იგი ამიერიდან კლუბის პრეზიდენტია, ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. როცა იგი მოსკოვიდან ჩამოგვყავდა, საქმეში ყველა ჩაერია. ახლა კი...".

**ვახტანგ ოდიშვილი** — სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: „ჩვენთან მოიტანეს პატაკი გუნდის მთავარ მწვრთნელად გია ზუმბულიძის დანიშვნის თაობაზე. ჯერ გადაწყვეტილება არ მიგვიღია".

რა ხდება? დასაბუთებული და ავტორიტეტული პასუხი, როგორც ჩანს, ამ კითხვაზე საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ უნდა გასცეს.

## გიორგი ჩოგოვაძის ბრინჯაოს პრიზი

**ავსტრალიის** ქალაქ პერტში ათ დღეს მასპინძლობდა მსოფლიო ჩემპიონატს ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში, „სუპერდოუმის" აუზში გაუმჯობესდა 6 მსოფლიო რეკორდი (სამი უმაღლესი მიღწევა უნგრელთა ანგარიშზეა, ორი — ამერიკელთა და ერთიც გერმანელთა), მათ შორის, ვლადიმერ სალნიკოვის რვაწლისწინანდელი შედეგი 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

შეჯიბრების ბოლო დღეს, საქართველოს წარმომადგენელმა გიორგი ჩოგოვაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 10-მეტრიან კოშკიდან ხტომაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართველი სპორტსმენი დიდხანს ერთპიროვნული ლიდერი იყო და მხოლოდ ფინალურ ხტომებში დათმო უპირატესობა.

სულ მსოფლიო ჩემპიონატზე გათამაშდა მედლების 45 კომპლექტი. ყველაზე ბევრი ჯილდო ამერიკის გუნდის წევრებს ხვდათ: 17 ოქროს, 10 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი. გუნდურ ჩათვლაში მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ჩინეთის, უნგრეთის, გერმანიის, ავსტრალიისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები. საბჭოთა ნაკრები (1 ოქროს, 3 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი) მეშვიდე ადგილზეა.

სუსტად იასპარეზეს საბჭოთა წყალბურთელებმაც. მსოფლიო ჩემპიონატების მუდმივ პრიზიორებს ამჯერად მეშვიდე ადგილი ხვდათ.

• • •



**სურათზე:** გიორგი ჩოგოვაძე.

## ბაკურიანელთა წყვილი უძლიერესია!

**სიგულდაში** (ლატვია) ბაკურიანელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის მოსწავლეებმა ლევან თიბილოვმა და კახა ვახტანგიშვილმა. ქვეყნის ჩემპიონატის ოქროს მედლები დაიმსახურეს მოციგავე წყვილთა შორის.

ეს გამარჯვება საუკეთესო განაცხადია საციგაო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც სულ მალე ჩატარდება (21-28 იანვარი) აქვე, სიგულდაში, როგორც ხედავთ, თიბილოვმა და ვახტანგიშვილმა კიდევ უფრო განამტკიცეს მასში მონაწილეობის შანსი და ასევე სერიოზული განაცხადი გააკეთეს „წინასაოლიმპიადო კვირეულში" ასპარეზობისათვის (ალბერვილი, თებერვალი).

„ლელოს" კორ.

## მაია აზარაშვილი კვლავ სტარტზეა. სადაა ტარიელ ბიწაძე?

**ოთხმა** მძლეოსანმა იოსებ შავერდაშვილმა, მაია აზარაშვილმა, ევგენი გიორგაძემ და გელა ვეშაპიძემ სპორტის ოსტატის ნორმატივი აჩვენეს, ოცმა სპორტსმენმა პირადი მიღწევა გააუმჯობესა — ასეთია მძლეოსნობაში საქართველოს ზამთრის ჩემპიონატის მთავარი მაჩვენებლები, ჩემპიონატისა, რომელიც ამ დღეებში თბილისში, პროფკავშირთა მძლეოსნურ მანეჟში გაიმართა.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ახალი სპორტული სეზონის პირველი შეჯიბრება იყო, კმაყოფილი ვართ — თქვა მძლეოსნობის ექსპერიმენტული სპორტულ-მეთოდური საწარმოო გაერთიანების მთავარმა მწვრთნელმა ევგენი გაგუამ და იქვე დასძინა, რომ განსაკუთრებით აღსანიშნავია მაია აზარაშვილის დაბრუნება სარბიელზე (მაია, როგორც ცნობილია, დედა გახდა). ახლა მაიამ 60 მეტრი 7,2 წამში გაირბინა, რაც უდავოდ ამ პერიოდისთვის და შესვენების შემდეგ მაიასათვის კარგი შედეგია.



### საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი მძლეოსნობაში

მონაწილეობდა თუ არა შეჯიბრებაში ტარიელ ბიწაძე? ამ კითხვაზე ე. გაგუამ გვიპასუხა, რომ ბიწაძე არ ჩამოვიდა ასპარეზობაზე. 17 იანვარს, თქვა მან, თავად მივდივარ სოხუმში და ყველა მიზეზს გავარკვევ.

ახლო მომავალში კიშინიოვში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი, სადაც საქართველოდან 15 მძლეოსანი გამოვა სტარტზე.

• • •

**სურათზე:** წინ, გამარჯვებისაკენ...

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის

# მიმართვა

## საქართველოს სპორტსმენებს, სპორტის მუშაკებს და სპორტულ ფედერაციებს

**ძვირფასო მეგობრებო!**

საქართველოს განთავისუფლება, მისი დამოუკიდებლობა, სულ უფრო და უფრო რეალური ხდება. ამ მიზნის მისაღწევად უკვე ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი, ალბათ, უფრო მეტია.

ნათელი მიზნისათვის ბრძოლაში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ სპორტსმენებმა და სპორტის მუშაკებმა. განსაკუთრებული ძალისხმევა მართებთ სპორტსმენებს, რადგან, მოგეხსენებათ, აქტიური სპორტული ცხოვრების შეთავსება სხვა სახის საქმიანობასთან, საზოგადოებრივ თუ სოციალურ, პირად თუ ოჯახურ პრობლემებთან, სტაბილურ პირობებშიც კი ძნელია ხოლმე.

ოლიმპიური თამაშები უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაში. ხოლო ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა და, მით უმეტეს, გამარჯვება, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ნებისმიერი სპორტსმენის ბიოგრაფიაში, მაგრამ არც ის არის მეორეხარისხოვანი, ვისი დროშის ღირსებას იცავ ოლიმპიადაზე, შენი ერის თავისუფალი წარმომადგენელი ხარ თუ თუნდაც გმირი, მაგრამ უსამშობლო მამელუქი. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დანიშნულება და მთავარი მიზანი სწორედ ის გახლავთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში, გამოვიდნენ საქართველოს დროშით და გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ჰიმნის ფონზე მიიღონ ოლიმპიური დაფნა-მედლები. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი ამიტომაც მოგმართავთ თქვენ — სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის მუშაკებსა და სპორტულ ფედერაციებს — საქართველოს სპორტს უახლოეს ხანში მოვუპოვოთ სრული სუვერენიტეტი, სპორტული ფედერაციები გამოვიყვანოთ საკავშირო სტრუქტურებიდან და ვაქციოთ ისინი დამოუკიდებელ ეროვნულ ორგანიზაციებად, უარი ვთქვათ ეგრეთწოდებულ „საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრები" გუნდების სახელით გამოსვლაზე.

ჩვენი სპორტის ვარსკვლავების ასეთი გადაწყვეტილება, უდავოა, მოქალაქეობრივი გმირობა იქნება, სპორტულ გმირობაზე არანაკლები. საქართველო ღირსეულ პატივს მიაგებს გმირებს.

იმედია, რომ მოგვისმენთ, გვჯერა, რომ გაგვიგებთ, გვწამს, რომ გავიმარჯვებთ!

# დავას თორმეტნი იწყებენ

**საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი.**

**როგორია იგი, რა სხვაობაა ახალ ასპარეზობასა და ძველ გათამაშებას შორის? — ასეთი კითხვით მივმართეთ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრს, რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს მერაბ მეტრეველს:**

— **ხელბურთელთა** ახალი ჩემპიონატი, რომელიც 11 იანვარს დაიწყო, შეიძლება ითქვას, მკვეთრად განსხვავებული ფორმულით ტარდება. მასში ასპარეზობს პრაქტიკულად ყველა ჩვენი უძლიერესი სპორტსმენი, მათ შორის თბილისის „ქარიშხალის" ოსტატთა გუნდის წევრები. სასიამოვნოა, რომ ახალ გათამაშებაში ცალკე გუნდად მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ჩვენმა ცნობილმა ხელბურთელებმა — იმედო ფხაკაძემ, ალექსანდრ ანპილოგოვმა, ამბერკი ტაბიძემ, ზაზა დოლიძემ, გიორგი და ვახტანგ ბერიაშვილებმა, ამირან კომახიძემ, ჯემალ ბარამიძემ, ალექსანდრე ნავროზაშვილმა, ლევან და დიმიტრი აბესაძეებმა. სხვათა შორის, ვეტერანთა გუნდმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი დავით რუხაძე) თბილისის პირველობაზეც იასპარეზა და საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა. ჩემპიონატი (მთავარი მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი თამაზ ჩხარტიშვილი), რომელშიც სამ ქვეჯგუფად დაყოფილი 12 გუნდი გამოდის, ექვს ტურად ტარდება. თითოეული გუნდი 22 თამაშს გამართავს. შეხვედრები თბილისის გარდა, იმართება ბათუმში, ქუთაისში, სამტრედიაში, თელავში და ფოთში. თბილისის ღირსებას 6 გუნდი იცავს: ტექნიკური უნივერსიტეტის, ფიზკულტურის, სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარული ინსტიტუტების, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ბავშვთა და მოზარდთა სკოლის გუნდები, ვეტერანთა ნაკრები. ტურნირის დასასრულს გაიმართება ეგრეთ წოდებული სუპერფინალური შეხვედრები ჩემპიონისა და პრიზიორების გამოსავლენად.

კიდევ ერთი სიახლე: თუ ადრე რესპუბლიკის ჩემპიონატს საქართველოს სპორტსახკომი ატარებდა, ახლა, მასთან შეთანხმებით, ამ ასპარეზობას რესპუბლიკური ფედერაცია ატარებს. ფედერაციის ყრილობაზე ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ იგი დამოუკიდებელი, იურიდიულად უფლებამოსილი გამხდარიყო. მისი დამფუძნებლები არიან სპორტსახკომი, სპორტსაზოგადოება „შევარდენი", სპორტსაზოგადოება „მართვე". საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის



რეგიონალური ორგანიზაცია „თბილისი" და საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმია". ფედერაციის უპირველესი ამოცანაა პრაქტიკულად დაეხმაროს რესპუბლიკის ხელბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდებს. კერძოდ, გვსურს ჩვენში შევქმნათ საკლუბო სისტემა — რესპუბლიკის დიდ ქალაქებსა და რაიონებში ჩამოვაყალიბოთ სპეციალური ხელბურთო კლუბები, რომლებსაც ექნებათ დამოუკიდებელი სტატუსი, იქნებიან თვითდაფინანსებაზე და ა. შ. პირველი მერცხალი ამ მხრივაც ფოთში გამოჩნდა — შარშან ქალაქში ამოქმედდა ხელბურთელთა დამოუკიდებელი სპორტკლუბი „ოქროს ვერძი". მრავალწლიანმა პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მხოლოდ ენთუზიაზმით და პარტიზანული მეთოდებით შორს ვერ წავალთ — ამიტომ ზემოხსენებული ნაბიჯების გადადგმა ფრიად საჭიროდ და დროულად მივგაჩნია. ცხადია, ახალი ფედერაცია მხოლოდ რესპუბლიკის ჩემპიონატის ჩატარებით არ შემოიფარგლება. წელს, ალბათ, რესპუბლიკის თასის გათამაშებასაც ჩავატარებთ. მერე მას თბილისის საერთაშორისო ტურნირიც მოჰყვება საკლუბო გუნდებს შორის — „საქართველოს თასი", საზაფხულო არდადეგებზე განზრახულია თბილისის სპორტის სასახლეში ჩვენი შესანიშნავი მეკარის, სპორტის საპატიო ოსტატის ჯემალ აბაიშვილის მემორიალური ტურნირის ჩატარება ბავშვთა გუნდებს შორის. სასურველია, რომ ყველა ამ ასპარეზობას სპონსორები გამოუჩნდნენ, ვინაიდან დღემდე პრაქტიკულ დახმარებას მხოლოდ საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმია", კერძოდ, მისი გენერალური დირექტორი, ბატონი ნიკოლოზ ცხვაძე გვიწევდა. იგი, მოგეხსენებათ, ჩვენი ფედერაციის უცვლელი პრეზიდენტია.

იმედია, ახალი, დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნა, პირველი ეროვნული ჩემპიონატის გამართვა ხელს შეუწყობს ჩვენი ხელბურთის აღმავლობას, საწინდარი იქნება ქართული ხელბურთის ტრადიციების და ავტორიტეტის დაბრუნება-აღორძინებისა, საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი გუნდების დამოუკიდებელი გასვლისა და, ცხადია, სპორტის სასახლის ტრიბუნებზე ამ სახეობის თაყვანისმცემელთა კვლავ მრავლად შეკრებისა.

**ესაუბრა ოთარ ნოზაძე.**

**მსოფლიო პირველობა ჭადრაკში**

# ალისა — „ლიუბას" მეგირდი

ძნელი გასახსენებელია შემთხვევა, როცა იუგოსლავიაში მოჭადრაკე ქალთა შეჯიბრებისთვის ასეთი დიდი ყურადღება დაეთმოთ. მხედველობაში გვაქვს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების: ალისა მარიჩისა (იუგოსლავია) და სიე ძუნის (ჩინეთი) მატჩი, რომელიც 2 თებერვალს იწყება. ამ შეხვედრაში გამარჯვებული შემოდგომაზე მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს უნდა შეხვდეს.

მას შემდეგ, რაც მხარეები ვერაფრით ვერ შეთანხმდნენ, სად გაემართათ ეს ორთაბრძოლა (როგორც მარიჩს, ისე სიე ძუნს, მაინცდამაინც „საკუთარ მოედანზე" სურდა თამაში), ფიდე-მ მიიღო ამ შემთხვევაში ერთადერთი ოპტიმალური გადაწყვეტილება: შეჯიბრება, ასე ვთქვათ, შუაზე გაყვეს. პირველი ოთხი პარტია — მატჩის პირველი ნახევარი, ბელგრადში გაიმართება, შემდეგ მეტოქენი შეისვენებენ და ბოლო ოთხ პარტიას პეკინში გამართავენ. რა თქმა უნდა, თუ ამ პარტიებში არც ერთი მხარის უპირატესობა არ გამოვლინდება, მატჩი გაგრძელდება ერთ-ერთი დიდოსტატის გამარჯვებამდე.

ამასობაში კი მეტოქეები მთელი მონდომებით ემზადებიან. იუგოსლაველი მიმომხილველები, ცხადია, იხსენებენ იმას, რომ ნოვი სადის ოლიმპიადაზე მარიჩმა პირველ დაფაზე საკმაოდ სუსტად ითამაშა, სიე ძუნმა კი კვლავ გამოიჩინა თავი, თუმცა, მათი პირადი შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ახლა იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციამ მარიჩის მწვრთნელად მიიწვია ამ ქვეყნის საუკეთესო მოჭადრაკე, განთქმული დიდოსტატი ლიუბომირ ლიუბოევიჩი. ისიც საინტერესოა, რომ „ლიუბა", როგორც მას მოჭადრაკეები ეძახიან, ამჟამად ესპანეთის ქალაქ ლინარესში ცხოვრობს და თავის სამშობლოს ხანდახან თუ ეწვევა ხოლმე.

როგორც იუგოსლავიური პრესა იუწყება, ლიუბოევიჩი და მარიჩი დეკემბრის შუა რიცხვებიდან შეუდგნენ მზადებას. უპირველეს ყოვლისა, ლიუბოევიჩი დეტალურად გაეცნო ჩინელი მოჭადრაკის ყველა დაბეჭდილ პარტიას. ამ პარტიების რაოდენობა მცირეა, რადგან სიე ძუნი სულ ერთი წელია, რაც საჭადრაკო ასპარეზზე გამოჩნდა, მაგრამ დებიუტი საკმაოდ წარმატებული გამოდგა. მან თავი გამოიჩინა პრეტენდენტთა ტურნირზე (ბორჯომში), საერთაშორისო ოლიმპიადაზე ნოვი სადში. როგორც გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი" იუწყება, ლიუბოევიჩს ამ ეტაპზე უკვე შექმნა ნათელი წარმოდგენა ჩინელი დიდოსტატის თამაშის სტილზე, მის ღირსება-ნაკლოვანებებზე. „იგი თამაშს სიე ძუნისთვის ნაკლებად სასურველ მიმართულებას მისცემს. ჩვენ გვწამს, რომ ეს დახმარება სოლიდური იქნება — ალისა დასძლევს დაბრკოლებას, რომელიც მის წინაშე შარშან ოქტომბერში წარმოიქმნა და მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან შეხვედრის უფლებას". იუგოსლავიური პრესა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ ქვეყნის წარმომადგენელი, მას შემდეგ, რაც ცნობილი დიდოსტატი მილუნკა ლაზარევიჩი ასპარეზს ჩამოშორდა, პრეტენდენტი აღარ გამხდარა.

რაც შეეხება სიე ძუნის მზადებას, ამის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. იუგოსლაველი მიმომხილველების აზრით, 11 ქულა (14 შესაძლებლიდან) ნოვი სადში მან სრულიად დამსახურებულად მოაგროვა. აი, რა განაცხადა თვით სიე ძუნმა:

— ჩინეთის გუნდის ბრინჯაოს მედლები ნოვი სადში და ჩემი მაღალი შედეგები მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში, ეჭვგარეშეა, ხელს შეუწყობს ჭადრაკის შემდგომ პოპულარიზაციას ჩემს ქვეყანაში. ახლა მთავარია, მარიჩს მოვუგო, თუმცა, წინასწარ ამ მატჩის შედეგის განჭვრეტა ჩემთვის ძალზე ძნელია. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ძალზე იღბლიანი მოჭადრაკე ვარ და აკი მეძახიან კიდეც „იღბლიან ქალიშვილს". ასე იყო ბორჯომში, სადაც ბოლომდე იღბლიანად ვითამაშე, თუმცა, სჯობს, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ — მეშინია, არ დავითარსო...

გაზეთები იუწყებიან, რომ სიე ძუნი პირველი კურსის სტუდენტია და კარგადაც სწავლობს. იგი მშობლების ერთადერთი შვილია. ისინი მის საჭადრაკო კარიერაზე დიდ იმედებს არ ამყარებენ, თუმცა, მაინც ძალიან უხარიათ, როცა მათი ქალიშვილი წარმატებით თამაშობს.

მაშ ასე: ალისა მარიჩი — სიე ძუნი...

**ბივი ბამრეკელი**

# დაწინაურდნენ ქართველი მოჭადრაკეები

**ვორონეჟში** მიმდინარე 18 წლამდე ასაკის გოგოების საბჭოთა კავშირის პირველობაზე, 6 ტურის შემდეგ 5-5 ქულით დაწინაურდნენ ოსტატობის კანდიდატები: 13 წლის მაია ლომინეიშვილი და 15 წლის ილძა კაბილოვა (ბაქო). მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ოსტატი ნინო ხურციძე, ოსტატობის კანდიდატები: ნატო ემგვერაძე და თამარ ფაჩულია. 4 ქულა აქვს ინგა ხურცილავას, 2,5 — დიანა დარჩიას და რუსუდან გიორგაძეს.

დებულების თანახმად, 5 საუკეთესო მონაწილეობას მიიღებს 16 და 18 წლამდე ასაკის გოგოების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

**გიორგი მაჭარაშვილი.**
**დეპეშით, „ლელოს" სპეც. კორ.**

# პირველი შეხვედრები

● **ავსტრალიის** ღია ჩემპიონატი, ისევე როგორც უიმბლდონის ტურნირი, საფრანგეთისა და აშშ-ის ღია ჩემპიონატები დიდი მუზარადის სერიის ტურნირია და მასში, როგორც წესი, მსოფლიოს ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი ცდის ძალებს. ასე იყო მუდამ, მაგრამ ამჯერად შეჯიბრებაში სხვადასხვა მიზეზით არ გამოდის რამდენიმე აღიარებული ფავორიტი, კერძოდ, მარტინა ნავრატილოვა, ანდრე აგასი, პიტ სამპრასი, ჯონ მაკინროუ, ჯენიფერ კაპრიატი (ყველა — აშშ), ანდრეას გომესი (ეკვადორი), თომას მუსტერი (ავსტრია) და მაინც, გათამაშებაში ბევრი სახელოვანი ჩოგბურთელი ჩაება, რომლებსაც სპეციალისტები წარმატებას უწინასწარმეტყველებენ. ესენი არიან: შტეფი გრაფი და ივან ლენდლი (შარშანდელი ტურნირის ჩემპიონები), აგრეთვე სტეფან ედბერგი, ბორის ბეკერი, გაბრიელა საბატინი და მონიკა სელეში.

მელბურნის კორტებზე გაიმართა პირველი შეხვედრები. ქალთა ორთაბრძოლებიდან შეიძლება გამოიყოს არგენტინელი გაბრიელა საბატინის გამარჯვება ამერიკელ ლინდა ჰარვეი-ვილდთან — 6:3, 6:1 და ლვოველი ლარისა სავჩენკოს წარმატება ავსტრალიელ დანიელა ჯონსონთან — 6:2, 6:2. ოდესელი ელენა ბრიუხოვეცი დაამარცხა ავსტრალიელმა რეიჩელ მაკკუილანმა — 2:6, 6:4, 6:1.

ვაჟთა ტურნირში ჯონ მაკინროუ მისმა უმცროსმა ძმამ პატრიკმა შეცვალა, რომელიც წყვილთა თამაშის სპეციალისტად ითვლება. უმცროსმა მაკინროუმ პირველ წრეში თომას ჰოგსტედს (შვეცია) აჯობა — 4:6, 4:6, 6:3, 6:1, 6:1. შვედმა ლარს-არდენ ვალგრენმა კი მოუგო შვეიცარიელ მარკ როსეს, რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციაში მეთხუთმეტე ადგილი უკავია — 4:6, 2:6, 6:7, 6:3, 9:7.

**ქაღალდის უქონლობის გამო „ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 17 იანვარს.**

**რედაქტორი**
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები ც. ჩიტაშვილი და მ. ძუძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-56
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„შერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380008, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20